# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 233

„ 2 " აგვისტო 2016 ṫ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, ვარკეთილის 3-ის დასახლებაში, IV მიკრორაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.19.36.014.526) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" მე-40 მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 31 მაისის №26 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 21 ივლისის №04/13622 წერილის (AR1405876) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქ. თბილისში, ვარკეთილის 3-ის დასახლებაში, IV მიკრორაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.19.36.014.526) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1405876 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2.აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

# შეთანხმებული გრგ სექტორებისა და ნაკვეთების განაწილებით

სექტორებისა და ნაკვეთების გამიჯვნის სქემა









სექტორი 12

| სსზ-1 | 20 მ |
|---|---|
| 0.7 | 2.5 |
| 0.1 | ქ |

ნაკვეთი 27

| სსზ-1 | 20 მ |
|---|---|
| 0.4 | 0.4 |
| 0.1 | ქ |

სექტორი 12 - საზოგადოებრივ საქმიანი ზონა-(სსზ 1) 112 079 კვ.მ

საპროექტო ნაკვეთი 27 - 102 501 კვ.მ

ნაკვეთი 28 - 9 578 კვ.მ